სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE
№ 3254
„30" 01 2014

საქართველო
GEORGIA

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 19
თარიღი: 5 02 2014 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის(GRASS)

დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 17 იანვრის #13 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის პროგრამის შესახებ ინფორმაციას.

დანართი 2 (ორი) გვერდი

პატივისცემით,

დავით ტყემალაძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ინფორმაცია

აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ 17,01,2014 წლის N13 წლის წერილის მოთხოვნაზე

- ✓ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს:

- მაგისტრალური სარწყავი არხების, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, სარწყავი სისტემების, შიდასამეურნეო ქსელების სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო ღონისძებებს;
- სადრენაჟო სისტემების მაგასტრალური წყალგამყვანი არხების, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხებისა და (შიდასამეურნეო კვლების „ორნატი“) ქსელის სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო ღონისძებებს.

- ✓ სარეაბილიტაციო ობიექტების პროექტირება და ექსპერტიზა ძირითადად დამთავრებულია.
- ✓ 2013 წლის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ყველა ობიექტზე გამოცხადებულია ტენდერი.
- ✓ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხორციელდება მათი ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა.
- ✓ ჩატარებულია ტენდერი სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენაზე.
- ✓ პროგრამის განხორციელება დაიწყო „„შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიისათვის“ კაპიტალის გაზრდისა და ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N122 განკარგულების მიღებიდან.
- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოების პროგრამის დასრულება განსაზღვრულია პროექტებით განსაზღვრული კონკრეტული ვადების მიხედვით.
- ✓ გასული წლების სტატისტიკა (2009-2013 წ.წ.) შემდეგია :
    - *სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია - მოდერნიზაციის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ:*

2009 წელი	ამ წლებში მიზნობრივად, სარეაბილიტაციო დანიშნულებით კომპანიას სახსრები არ გამოეყოფოდა
2010 წელი	

2011 წელი - 3 280 ათ. ლარი

2012 წელი - 6 776 ათ. ლარი (ნაწილი სამუშაოებისა შესრულდა 2013 წელს)

- *სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებისათვის გამოყოფილი რესურსების შესახებ:*

2009 წელი - 419 ათ. ლარი

2010 წელი - 79 ათ. ლარი

2011 წელი - 445 ათ. ლარი

2012 წელი - 3 685 ათ. ლარი

- ✓ შ.პ.ს. "საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიისათვის" 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქ. მთავრობის 27.11.2013 წლის №1602 განკარგულებით გამოყოფილი დაფინანსების ჩაშლა

1	სარეაბილიტაციო სამუშაოების დირებულება სულ	45,052,194
	მათ შორის:	
1.1	ორიგაცია	35,823,737
1.2	ორენაჟი	2,588,230
1.3	პროექტირების, ექსპერტიზისა და ზედამხედველობის ღონისძიებები	6,640,227
2	სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა	3,547,606
	საბიუჯეტო დაფინანსება სულ	48,599,800

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთან მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანების შესაბამისად წლიური შესრულების დეტალური ანგარიში დასრულდება 2014 წლის 01 მარტს.